ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №61

აბაშა, 2023 წლის 5 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 დეკემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ი" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 დეკემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 დეკემბრის მორიგი №16 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ლ. მელაძე

3. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ლ. მელაძე

4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

5. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, შ.პ.ს. „შანი" აბაშის საოჯახო მედიცინის ცენტრზე გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

6. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სს „სილქნეტი"-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

7. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ. ორგანიზაცია „სიკეთის მაძიებელზე", პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ. მელაძე

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ხოშტარია